

დღეს, ყოველდღიურ საუბარში ხშირად ისეთ ფრაზებს ვიყენებთ, რომელთა გაგონებაც რამოდენიმე წლის წინ დიდ გაკვირვებას გამოიწვევდა. უფრო მეტიც, ადამიანი რომელიც რაიმე მსგავს იტყოდა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გიჟად ჩაითვლებოდა:

“თავი გამიფუჭდა და დღეს ველარ ვიმუშავებ”, “ხუთი წუთის წინ წერილი გამოგიგზავნე და უკვე უნდა მოსულიყო შენამდე”. “მეხსიერება არ მყოფნის, უნდა დავიმატო”, “ხომ არ იცი, სად ჯობია ვიყიდო ვინჩესტერი”, “საიდან ჯობია გადმოვტვიროთო ფილმები”, “შენც გაქვს ფერმა ფეისბუქში? ლობე მაჩუქე რა...”

დღევანდელი უცნაურობა მხოლოდ მსგავსი ფრაზებით არ შემოიფარგლება. ადრე ჟურნალი რომ ნაგეკითხა, ის ხელში უნდა აგელო და თანამიმდევრობით გადაგეშალა ქალაქის ფურცლები. მაგრამ დღეს, უკვე არსებობს ისეთი ჟურნალები, რომელთაც ხელში ვერ დაიჭერ, მათ მატერიალური გარსი საერთოდ არ გააჩნიათ. მსგავს პროდუქტებს ელექტრონული წიგნები და ჟურნალები ჰქვიათ.

ერთი შეხვედრით თითქოს ყველა ის ცვლილება, რომელიც ჩვენს ირგვლივ ხდება, კიდევ უფრო გვირთულებს ცხოვრებას. თითქოს ისინი, ვინც ამ ახალ ტექნოლოგიებს იგონებენ და ნერგავენ, სპეციალურად ცდილობენ ყველაფერი კიდევ უფრო გაართულონ. მაგრამ რეალურად, იდეიდან საბოლოო რეალიზაციამდე გზა სულ უფრო მოკლე ხდება.

საქმე ისაა, რომ მსგავსი პროექტის განხორციელებას არც საწყისი კაპიტალი ჭირდება და არც განსაკუთრებული ტექნიკური ცოდნა. შეხვედრაზე მოხდება დაგროვილი გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე მსმენელები შეიტყობენ როგორ შეიძლება ელექტრონული ჟურნალის შექმნა და მისი პოპულარიზაცია.

დასწრება უფასოა საჭიროა მხოლოდ რეგისტრაცია.

დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით:

877 55 66 56

t_kobadze@yahoo.com

893 935309

marusa_n@yahoo.com

CZE

CZE MAGAZINE

რამოდენიმე წელია ფოტოგრაფიით ვარ გატაცებული, ჩემს ნამუშევრებს ძირითადად ინტერნეტით ვუწევ პოპულარიზაციას და ვცდილობ, ინტეგრირებული ვიყო არა მხოლოდ ქართველ დამთვალიერებელთან, არამედ გლობალურ სივრცეშიც. ჩემთვის ყველაზე მომგებიანი ის შემოთავაზებებია, რომელთა შედეგადაც ჩემი ნამუშევრები რომელიმე ინტერნეტ ჟურნალში ქვეყნდება და მისი საშუალებით უფრო ფართო აუდიტორია მიცნობს ბევრი უცხოური Pdf ჟურნალის ნახვისა და მათგან ინსპირაციის მიღების შემდეგ, გამიჩნდა იდეა, შემექმნა საკუთარი Pdfი, ჩემი წესებით და ჩემ მიერ არჩეული არტიკლებით. ყველაზე დიდი სტიმული იმ ნამუშევრების პოპულარიზაციის სურვილმა მომცა, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ჩემს საქმიანობაზე ფოტოგრაფიაში. რამოდენიმეკვირიანი მუშაობის შედეგად ინტერნეტ სივრცეში "CZE" ჟურნალის პირველი ნომერი გაჩნდა, სულ მცირე PRის შემდეგ ჟურნალის არსებობას ბევრად დიდი გამოხმაუება მოჰყვა ვიდრე წარმოვიდგენდ

ენციეტ ჟურნალს მისამართზე
<http://georgenebieridze.tumblr.com/tagged/CZE>

ახლო მომავალში გადაინაცვლებს მისამართზე
www.cze.net

BEAT

BEAT MAGAZINE

დაახლოებით ერთი წლის წინ ოთხმა მეგობარმა გადავწყვიტეთ ჟურნალი გაგვეკეთებინა. ჟურნალის დაბეჭდვა ძვირი დაჯდებოდა. ამიტომ გადავწყვიტეთ PDF ჟურნალი გაგვეკეთებინა. ასე გაჩნდა პირველი PDF ჟურნალი საქართველოში - www.beatmagazine.net

ცოტაოდენი სტატისტიკა:

11 თვის განმავლობაში ჟურნალს ათი ათასზე მეტი ვიზიტორი ყავდა. მას შემდეგ რაც ლინკები ჟურნალის ვებგვერდზე სხვადასხვა საიტებმა დაპოსტეს, მნახველები მთელი მსოფლიოდან შემოდინან. მაგალითად ისეთი ეგზოტიკური ქვეყნებიდანაც როგორცაა:
ინდონეზია 296 იზიტი
ჩილე 114 ვიზიტი
ტაივანი 70 ვიზიტი
და ასე შემდეგ
ახალგაზრდა ხელოვანები მთელი მსოფლიოდან თავიანთ ნამუშევრებს გვიგზავნიან.

WAS

WE ARE SWEET MAGAZINE

დიდი ხანია სხვადასხვა ჟურნალებთან ვურთიერთობთ. ამის პარალელურად უკვე ბევრი წელია გვინდონა ჩვენი ჟურნალი გვექონოდა, მაგრამ იდეა იდეათ რჩებოდა და ბნელ კუთხეში ეძინა, პერიოდულად იღვივებდა და მერე ისევ იძინებდა. დრო მიდიოდა და მიდიოდა, საბოლოოდ გავხსენით ბლოგი, რომელიც მომავალი ჟურნალის პლაცდარმათ გამოვიყენეთ. მერე კიდევ დიდ დრო დაგვეჭირდა სანამ ჟურნალის პირველ ნომერს სული ჩავბერეთ.

29

აპრილს
საქართველოს
უნივერსიტეტში
მოეწყობა
სამი ონლაინ
ჟურნალის
პრეზენტაცია

შეხვედრაზე
როგორ დაიბადა ჟურნალის კონცეფცია
რა პრინციპით ხდება ნამუშევრების შერჩევა
როგორ შეიძლება საკუთარი ნამუშევრების გამოქვეყნება ჟურნალებში
რა არის საჭირო მსგავსი პროექტის განხორციელებისათვის
პრაქტიკული რჩევები მათ, ვისაც ელექტრონული ჟურნალის შექმნა სურს

სანდ
ვიზუალური კომუნიკაციის ისტორია
- პირველი ნიგნებიდან ელექტრონულ
გამოცემებამდე

გაიმართება
როგორ შეექმნათ
ელექტრონული ჟურნალი

დასწრება
დასწრების მსურველები
დაგვიკავშირდით:
877 55 66 56
t_kobadze@yahoo.com
893 935309
marusa_n@yahoo.com